



კითხვის დრო

საბავშვო გაზეთი, III-IV კლასი, N5

მხიარული ყვითელი „ღრუბელი“

ეკრანზე, ალბათ, ბევრჯერ გინახავს უცნაური წყალქვეშა ქალაქი, რომელსაც **ბიკინი ბოტომი** ჰქვია. იქ ცხოვრობენ ძალიან უცნაური არსებები: მხიარული **სპანჯბობი** და მისი საუკეთესო მეგობარი, ზღვის ვარსკვლავი პატრიკი; მუდამ გაღიზიანებული კალმარი სქვიდვორდი; ციყვი სენდი, რომელიც წყალქვეშ ცხოვრებას სპეციალური ჰიდროკოსტიუმის საშუალებით ახერხებს...

ისიც გემახსოვრება, სპანჯბობი ანანასის სახლში რომ ცხოვრობს და კაფეში მზარეულად მუშაობს. თან უგემრიელეს ბუტერბროდებს ამზადებს. მართალია, ეს საქმე ყოველთვის ერთნაირი წარმატებით არ გამოდის, მაგრამ არა უშავს...

როგორია **სპანჯბობი**? ძალიან უცნაური, ძალიან ენერგიული და ძალიან პოპულარული. დღეს ის მთელ მსოფლიოში ბავშვების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი პერსონაჟია. სპანჯბობი ტელეეკრანებზე პირველად 1999 წლის 1 მაისს გამოჩნდა. მან მაშინვე უამრავი მაყურებელი მიიზიდა. მხიარული ყვითელი „ღრუბელი“ და მისი წყალქვეშა მეგობრები სწრაფად გახდნენ ტელეეკრანის ვარსკვლავები. 23 წლის შემდეგაც ისინი ბავშვების საყვარელ გმირებად რჩებიან.




ყველამ ვიცით, ვინ გამოიგონა ცნობილი მიკი მაუსი, იხვი დონალდი და ძაღლი პლუტო. სპანჯბობი, პატრიკი და სქვიდვორდი კი ანიმატორმა სტივ ჰილენბურგმა შექმნა.

სპანჯბობის მსგავსად, ერთ დროს ისიც მზარეულად მუშაობდა ზღვის პროდუქტების რესტორანში. სტივი ადრე საზღვაო ბიოლოგიასაც სწავლობდა. შემდეგ ხელოვნების სკოლაში მულტიპლიკაციას დაეუფლა. ანიმაციების კეთებაც სწორედ მას შემდეგ დაიწყო.

ჰილენბურგს ძალიან უყვარდა ზღვის ბინადრების ხატვა. დიდხანს ფიქრობდა, როგორი უნდა ყოფილიყო მისი მულტფილმის მთავარი პერსონაჟი. აკვირდებოდა ზღვის ცხოველებსა და წყალქვეშა სამყაროს. საბოლოოდ, არჩევანი ზღვის ღრუბელზე შეაჩერა. ზღვის ღრუბელი უცნაური ცხოველია. გარეგნულად მცენარეს უფრო ნაგავს, ვიდრე – ცხოველს. მას ხომ გადაადგილება არ შეუძლია. რაც შეეხება იმ ღრუბლებს, რომლებსაც აბაზანასა და სამზარეულოში იყენებენ, მათ მცენარეული მასალისგან, ცელულოზისგან ამზადებენ.

სპანჯბობი მართლაც უცნაური პერსონაჟია. ის ანანასის სახლში ცხოვრობს. ჰილენბურგმა იფიქრა, რომ სპანჯბობს ანანასის სახლის „სურნელი მოენონებოდა“. ყნოსვა ხომ ძალიან მნიშვნელოვანი გრძნობაა ზღვის ცხოველებისთვის!

გაგრძელება მე-2 გვ.



სპანჯბობს თავიდან სპანჯბობი, ანუ „ღრუბელიჭუნა“ ერქვა. თუმცა მაშინ ეს სახელი უკვე იყო სხვისი საფირმო ნიშანი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ სახელწოდებას კანონიერად ფლობდა კიდევ ვიღაც სხვა (ისევე, როგორც მიკი მაუსის სახელს ფლობს დისნეი). მოგვიანებით ჰილენბურგმა მოიპოვა საავტორო უფლება სახელზე „სპანჯბობი“, მაგრამ შეცვალა ის. ოღონდ სახელში დატოვა სიტყვა „ღრუბელი“, ეს პერსონაჟი ბავშვებს ყველის ნაჭერი რომ არ ჰგონებოდათ ნასვრეტების გამო.

ალბათ, გახსოვს სპანჯბობის ხმა და სიცილი. ანიმაციის მთავარ პერსონაჟს ცნობილი მსახიობი, ტომ

კენი, ახმოვანებს. მსახიობის აზრით, მისი გმირის სიცილს მაყურებლებისთვის ოკეანე



უნდა გაეხსენებინა. ამიტომ დელფინისთვის დამახასიათებელ ხმებს თოლიის წივილი შეურიეს და ასე მიიღეს სპანჯბობის ცნობილი სიცილი.

ანიმაციის კიდევ ერთი საინტერესო პერსონაჟია კალმარი სქვიდვორდი. თუმცა, თუ დააკვირდები, დაინახავ, რომ ის თავისი აგებულებით სულაც არ ჰგავს ნამდვილ კალმარს. სქვიდვორდის საცეცები გარეგნულად კალმარსაც მოგვაგონებს და რვაფეხასაც. თუმცა, საბოლოოდ, არც ერთია და არც – მეორე. მას ხომ მხოლოდ ექვსი საცეცი აქვს. წესითა და რიგით, რვა ფეხი უნდა ჰქონოდა. მაგრამ ანიმატორებმა იფიქრეს, რომ ამდენი კიდური გმირის გარეგნობას ძალიან გადატვირთავდა. ამიტომ სქვიდვორდს მხოლოდ ორი ხელი და ოთხი ფეხი აქვს (ანუ სულ ექვსი კიდური).

ღვეზელი „კრები პეტის“ რეცეპტი საგულდაგულოდ დაცული საიდუმლოა. თუმცა მის შესახებ ზოგიერთი რამ მაინც არის ცნობილი. ანიმაციის ავტორი სტივ ჰილენბურგი ამბობს, რომ ეს საუცხოო ბურგერები ვეგეტარიანულია.

ვეგეტარიანული საკვები – საკვები, რომელიც გამორიცხავს ნებისმიერი ცხოველის (ასევე ფრინველის, თევზის და ა. შ.) ხორცს.



სხვათა შორის, სპანჯბობი მხოლოდ ანიმაციის გმირი არ არის. ახლა ის ნიუ იორკის გარემოს დაცვის დეპარტამენტსაც ეხმარება. უზარმაზარი სპანჯბობი ბავშვებს მოუწოდებს, რომ წყალს გაუფრთხილდნენ. „დაზოგეთ წყალი!“ – შეახსენებს ხოლმე ის ბავშვებსა და მათ მშობლებს.

სახალისო დავალება: გახდი ანიმატორი

წარმოიდგინე, რომ ცნობილი ანიმატორი ხარ და ახალი გმირი უნდა შექმნა შენი მომავალი ანიმაციური ფილმისთვის.

დანერე, როგორი იქნება ის. შეგიძლია, ქვემოთ მოცემული დიაგრამა დაიხმარო. სურვილის მიხედვით, დაამატე ან მოაკელი პუნქტები. მთავარია, საინტერესო და დამაჯერებელი იყოს.

ჰო, შენი პერსონაჟი აუცილებლად უნდა დახატო.

წარმატებას გისურვებ!



ბუმერანგი

გინახავს ბუმერანგი? ერთი შეხედვით, ის უბრა-

ლო მოხრილი ჯოხია. მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით! ეს „უბრალო ჯოხი“ გასროლის შემდეგ ტრიალ-ტრიალით მიფრინავს ჰაერში. ბოლოს კი ისევ მსროლელთან ბრუნდება.

ბუმერანგი ავსტრალიელი მონადირეების ტრადიციული იარაღია. იგი პირველად სწორედ მათთან ნახეს ევროპელმა მოგზაურებმა. ბუმერანგის უცნაურმა მოძრაობამ საგონებელში ჩააგდო ევროპელები. ვერაფრით გაეგოთ, როგორ ბრუნდებოდა ჯოხი უკან, მსროლელთან. მანამდე ასეთი იარაღი არსად ენახათ, ამიტომ ევროპაში დიდხანს ეგონათ, რომ ბუმერანგი ავსტრალიელებმა გამოიგონეს.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ბუმერანგის მსგავსი იარაღი უძველესი დროიდან იყო გავრცელებული. XX საუკუნეში სხვადასხვა კონტინენტზე იპოვეს მისი ძველი ნიმუშები. 1922 წელს ინგლისელმა არქეოლოგმა ჰოვარდ კარტერმა ფარაონ ტუტანჰამონის სამარხში აღმოაჩინა ბუმერანგის მსგავსი იარაღი. ძველი ეგვიპტელები მას ფრინველებზე სანადიროდ ან გასართობად იყენებდნენ.



ბუმერანგის მტყორცნელი მეომრის ძველი ეგვიპტური გამოსახულება.

ბუმერანგი პოლონეთშიც იპოვეს. ის რამდენიმე ათასი წლის წინ არის დამზადებული მამონტის ეშვისგან. მსგავსი იარაღი ჰქონიათ ძველ გერმანელებსაც. გამოიყენებოდა ინდოეთშიც. აღმოჩენილია ჩრდილოამერიკელ ინდიელებთანაც...

ავსტრალიური ბუმერანგი სხვებისგან ფორმით განსხვავდება. მისი ბოლოები ოდნავ გადაღუნულია ხრახნის მსგავსად. ამის გამო ის ჰაერში უცნაურად დაკლაკნილ მრუდს აკეთებს. მერე, თუ მიზანს ასცდა, უკანვე ბრუნდება მსროლელთან.

ავსტრალიელები ბუმერანგს XX საუკუნემდე იყენებდნენ როგორც სანადირო ან საბრძოლო იარაღს. საბრძოლო ბუმერანგს ბოლოებზე რკინის წვეტებს უმაგრებდნენ მონინალმდგის უკეთ დასამარცხებლად.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ბუმერანგის ტყორცნა სპორტის სახეობად იქცა. 1969 წელს შეიქმნა ავსტრალიის ბუმერანგის ასოციაცია (BAA – Boomerang Association of Australia). 1971 წლიდან კი ავსტრალიაში ყოველ წელს იმართება ეროვნული ჩემპიონატი ბუმერანგის ტყორცნაში. შეჯიბრი ტარდება რამდენიმე სახეობაში: მიზანში სროლა, „ავსტრალიური რაუნდი“ (ბუმერანგის



ავსტრალიის ბუმერანგის ასოციაციის ემბლემა (BAA – Boomerang Association of Australia)

შორს და ზუსტად სროლა და შემდეგ მისი დაჭერა), „დაბლინგი“ (ორი ბუმერანგის ერთდროულად სროლა) და სხვ.

ბუმერანგის ტყორცნა დღეს ერთ-ერთი პოპულარული გასართობია ევროპაში. სათამაშო ბუმერანგები მასალით, ფორმით, ფერით განსხვავდება სანადირო ან საბრძოლო იარაღისგან. ისინი ბევრად უფრო მსუბუქია და, რა თქმა უნდა, უსაფრთხო.



ბუმერანგი სხვადასხვა ფორმისა და ზომისაა. ყველაზე მეტად გავრცელებულია ნამგლისებური ბუმერანგი. მას ორი ფრთა, ანუ ორი მხარი აქვს. ნამგლისებური ბუმერანგის სიგრძე 35-39 სმ-ს უდრის, მხრების სიგანე 3 სმ-ია. ასეთი ბუმერანგის მხრებს შორის კუთხე 90-დან 180 გრადუსამდე მერყეობს. მხრები შეიძლება თანაბარი იყოს ან – სხვადასხვა სიგრძის. არსებობს პროპელერის ფორმის ბუმერანგიც, რომელსაც შეიძლება სამი ან ოთხი ფრთა ჰქონდეს.


სახალისო დავალება: დაამზადე ბუმერანგი

საჭირო მასალა და ხელსაწყოები:

სქელი მუყაოს ნაჭერი, ნებოვანი ლენტები (ე. წ. სკოტჩი), შავი ფანქარი, ნებო „ემულსია“, მაკრატელი, სახაზავი.


I საფეხური

მუყაოსგან გამოჭერი ორი ერთნაირი ზოლი და მაკრატლით მოუმრგვალე კუთხეები. შეგიძლია, საღებავებით მოხატო ან გააფერადო მუყაოს ნაჭრები. ასე ბუმერანგი უფრო ლამაზი გამოგვივა. ბოლოს მათ სიმყარისთვის გადააკარი ნებოვანი ლენტები.




II საფეხური

მუყაოს ორივე ნაჭერზე სახაზავით გადაზომე ერთი და იმავე ზომის მანძილი და გაავლე წყვეტილი ხაზი (ნახე ნიმუში). შემდეგ ამ ხაზებზე გადაკეცე მუყაოს ერთი ბოლო ზევით, ხოლო მეორე – ქვევით, ხრახნისებურად. ასე მოამზადე მეორე ნაჭერიც.



III საფეხური

აიღე ნებო და მუყაოს ნაჭრები შეაერთე ჯვრის ფორმაზე, აუცილებლად ზუსტად შუაში.



შენი ბუმერანგი მზადაა!

ახლა შეგიძლია თავისუფალი სივრცე მოძებნო და გამოსცადო ის.

დაიმახსოვრე, თუ ბუმერანგს მცირე დახრილი კუთხით გაუშვებ, უკეთ გაფრინდება.

წარმატებას გისურვებ!





კენგურუ სწრაფია,
როგორც ენგური.
„ენგურო“ უნდა ერქვას
კენგურუს.

ისე მოდის ბეჭემოტი,
თითქოს იცის, რისთვის მოდის.
მთელი ქვეყნის გაოცებას
ცდილობს სპილო,
ბავშვები კი აბრაზებენ:
– „სპილო-წვრილო!“

დათვი მუცელს იფხანს თათით,
დილიდანვე უცდის სადილს.
„რა თქმა უნდა, ტყეში სჯობდა,
ნაბლიც მქონდა,
თაფლიც მქონდა“, –
ალბათ, ასე ფიქრობს დათვი და
თან მუცელს იფხანს თათით.

გველს კი თავი ქვაზე უდევს
და სისინებს: „არ მაქვს ბუდე,
მაგრამ მაინც ყველას ვძულვარ,
თუმცა ჩემით არ მოვსულვარ“.

ისევ ღამეს ელის მგელი,
ისევ ერთი მიზანი აქვს...
თავს კი ასე ინუგეშებს:
„ვნახოთ, იქნებ სიზმარია?!“

– შენ ვინლა ხარ?
– ფოცხვერი,
– როგორა ხარ?
– რა მიშავს.
– მაინც, მაინც?
– მონყენილი.
– რა გინდა?
– რა მინდა და... გამიშვან!

ხეპრე ზებრა არც უყურებს
საწყალ ირმის ხრიოკ ეზოს
და თან ისე იბუტება,
თითქოს ძალით შეღებესო.

ეს კი ჩვენი ნიანგია,
ძველი მკვიდრი თბილისის.
ერთხელ კუდიც შეარხია
შარშან
წინის
წინის
წინ.

არც უყურებს სტუმრებს წერო:
„სად მცალია, ლექსებს ვწერო“.
დაუნყვია ზურგზე ფრთები,
მზეზე თბება.

ძირს ყრია:
სვავები,
ქორები,
არწივები, –
როგორც დამსხვრეული ტანკის ნაწილები.

ფარშევანგი არცერთს არ ჰგავს,
დედოფალი იყოს თითქოს,
დღე და ღამე იმას ფიქრობს,
რას დაიხატ-დაიქარგავს.
„ახლა ასე ვილა იცვამს?!“ –
უკვირს ციცარს.

ლომს კი სძინავს
და მძინარეც
ყველა მხეცზე ლამაზია.
არც ბუხუნებს...
თუმცა ბუხუნს
გალიაში რა ფასი აქვს.



ამ ფურცლით შეგიძლია წიგნი გააკეთო, თანაც ძალიან სწრაფად. ამისათვის ფურცელი გაზეთიდან უნდა ამოხიო და წყვეტილ ხაზზე შუაზე გაკეცო.

კიდევც. ენრიეტას გადარჩენა ვერ მოხერხდა. ქორწინებიდან 5 წლის შემდეგ ჯონიც გარდაიცვალა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ იზაბელა ინდოეთში გაემგზავრა. იქ დააფუძნა თავისი დისა და მეუღლის სახელობის ჰოსპიტლები და ადგილობრივ მოსახლეობას ეხმარებოდა.

58 წლის ასაკში იზაბელა

ბაღდადიდან თეირანში გაემგზავრა (ამჟამად ერაყისა და ირანის დედაქალაქები, შესაბამისად). ეს ერთ-ერთი ყველაზე სამინელო მოგზაურობა იყო. მას კორპის ქუდიც ჰქონდა, დამცავი სათვალევც და შალის ნიღაბიც, მაგრამ სამინელო სიცხისგან მაინც იტანჯებოდა. ბოლოს, როცა მისი ცხენი თეირანში შებაკუნდა, იზაბელა ისეთი გამშემებული იყო, რომ ძლიერ ჩამოქექილიყო. ის ცხენზე მამაკაცისგან გადამგდარი შევიდა ქალაქში იმის ნაცვლად, რომ ქალის უნდაგრზე გვერდულად მჯდარიყო. ამან თეირანში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ეს მოგზაურობა მხოლოდ სიცხის გამო არ ყოფილა რთული. ბაღდადიდან თეირანისკენ მიმავალ გზაზე საკვებიც აკლდა. მან თითქმის 12 კილოგრამი დააქლო.

თეირანის მონახულების შემდეგ ბირდმა ექვსი თვე მოანდომა თურქეთის დედაქალაქ სტამბოლში ჩასვლას. მერე საკუთარი ქარავანი წაიყვანა ირანში, ქურთისტანსა და თურქეთში. იყო ჩრდილოეთ ინდოეთში ტიბეტის საზღვარზე. ვერ ისვენებდა და აგრძელებდა თავის გაბედულ ექსპედიციებს. ტიბეტში მოგზაურობის დროს მის ცხენს ერთ-ერთ მდინარეზე გადასვლის დროს ფეხი აერიო, წყალში ჩავარდა და დაიხრჩო. იზაბელა კი გადაარჩა, მაგრამ ორი ნეკნი გაუტყდა.

ეს უცნაური და გაბედული მოგზაური ცხოვრების ბოლომდე აგრძელებდა მსოფლიოს სხვადასხვა ადგილის მონახულებას. 70 წლის ასაკში აფრიკაში გაემგზავრა პირენელებად. 72 წლისამ მოინახულა მაროკო. მას ასაკის გამო სიარული უკვე ძალიან უჭირდა. ამიტომ იძულებული გახდა, სულთნის ნაბობებ ცხენზე კიბით ასულიყო. მომდევნო წელს მინისკენ რომ ბრუნდებოდა, ავად გახდა და გარდაიცვალა. ეს მოხდა 1904 წლის 7 ოქტომბერს. დაკრძალულია მოტლანდიის დედაქალაქ ედინბურგში.



მომგზაურობის დრო



იზაბელა ბირდი

კითხვის დრო

შენ ალბათ, გიყვარს მოგზაურები და მათ საოცარ ამბებსაც ხშირად კითხულობ. ახლა სწორედ ერთ-ერთ მათგანზე გიამბობ. მას, მართალია, უცნობი ადგილები არ აღმოუჩენია, მაგრამ საკუთარი გამბედაობით ბევრი გააოცა. მოყვა წყალდიდობაში, იყო მოქმედ ვულკანზე, ცალთვალა ყაჩაღთან ერთად გადაიარა კლდოვანი მთები, ქარბუქში კი ისე გაიყინა, რომ წამწამებსა და ნარბეზე ლოლუები ეკიდა... არ დაგავინდეს, საუბარია მოგზაურ ქალზე. მან დაახლოებით 150 წლის წინ თითქმის მარტომ მოიარა ჩრდილოეთ ამერიკა, იაპონია, ჩინეთი, კორეა, ინდოეთი, ტიბეტი, თურქეთი, მაროკო, ავსტრალია, ჰავაი.

მამაცი მოგზაური ქალი იზაბელა ლუსი ბირდი 1831 წლის 15 ოქტომბერს დაიბადა ინგლისში, ბოროუბრიჯის რაიონში. იმ დროს, როგორც წესი, მხოლოდ მამაკაცები მოგზაურობდნენ. ყველას მიაჩნდა, რომ ქალი სუსტია და სახიფათო მოგზაურობაში წასვლა მისი საქმე არ არის. იზაბელა ბირდმა დაამტკიცა, რომ ეს აზრი მცდარია.

იზაბელა ბავშვობაში სუსტი იყო და ხშირად ავადმყოფობდა. 18 წლის ასაკში ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ სრულად მიიწვ ვერ გამოჯანმრთელდა.


– ოკეანის გადაღმა უნდა იმოგზაუროს და გამოკეთდება, – ურჩია ექიმმა ბირდის მამას ერთ-ერთი ვიზიტის დროს.

მამას ძალიან უნდოდა, მისი გოგონა უკეთ გამხდარიყო. ერთ დღეს 100 ფუნტი მისცა და შესთავაზა იქ გამგზავრებულიყო, სადაც მოისურვებდა. ბირდს ბევრი არ უფიქრია. ჩრდილოეთ ამერიკაში გამგზავრება გადაწყვიტა. წინ რთული გზა ელოდა: ოკეანე უნდა გადაელახა და უცხო მიწაზე გადასულიყო. მაშინ იგი 23 წლის იყო.

იზაბელა დას, ენრიეტას, სწერდა წერილებს. თავის საოცარ მოგზაურობაზე უყვებოდა. წერილებში ისეთი საინტერესო ამბები იყო აღწერილი, რომ დამ ურჩია, შეეკრიბა ისინი და წიგნად გამოეცა. იზაბელაც დათანხმდა და ასე შეიქმნა მისი პირველი წიგნი – „ინგლისელი ქალი ამერიკაში“. წიგნი ძალიან მალე გახდა პოპულარული მთელ ინგლისში.

მოგზაურობა დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული მგზავრობისთვის საჭირო თანხა რომ

სამეფო გეოგრაფიული საზოგადოება (ინგ. Royal Geographical Society; RGS) — გეოგრაფიული საზოგადოება დიდ ბრიტანეთში, ქალაქ ლონდონში. თავდაპირველად ეწოდებოდა „ლონდონის გეოგრაფიული საზოგადოება“. დააარსეს ჯონ ბაროუმი, ჯონ ფრანკლინმა და ფრენსის ბოფორტმა 1830 წელს. საზოგადოებამ არაერთი გამოჩენილი მეცნიერისა თუ მოგზაურის საქმიანობას შეუწყო ხელი. საზოგადოების ძირითადი მიზანია გეოგრაფიული მეცნიერების განვითარება.



ეშოვა, იზაბელა თავის თავგადასავალს აღწერდა, წიგნებს ყიდა და ასე იხდიდა მოგზაურობის საფასურს. იგი ისე ხშირად ჩნდებოდა ჟურნალებში, რომ მალე სახელი მოიხვეჭა. 1892 წელს პირველი ქალი იყო, ვინც სამეფო გეოგრაფიულ საზოგადოებაში გაწევრიანეს.

იზაბელა ამერიკიდან მალე დაბრუნდა და საცხოვრებლად გადავიდა შოტლანდიის დედაქალაქ ედინბურგში. თუმცა იქ დიდხანს არ გაჩერებულა. მალე ისევ ავად გახდა და ამჯერად ავსტრალიაში გამგზავრება გადაწყვიტა. ავსტრალიიდან ახალ ზელანდიაში წავიდა. მაგრამ გზაში მოულოდნელად შეცვალა გეგმები და ჰავაის კუნძულებზე ჩამოვიდა თავისი ბარგით. აქვე ისწავლა ცხენზე ჯირითი მამაკაცის უნაგირით. ასე მოიჩინა ხერხემლის ტკივილი, რაც წლების განმავლობაში ტანჯავდა ქალის უნაგირზე ჯდომის გამო. საქმე ისაა, რომ ძველ დროს ქალებსა და მამაკაცებისთვის განსვავებული ფორმის უნაგირები არსებობდა. ცხენზე ჯდომის მანერაც სხვადასხვაგვარი იყო. მამაკაცები ისევე ისხდნენ, როგორც დღეს ჩვეულებრივ არის მიღებული. ქალებისთვის ასე ჯდომა შეუფერებლად ითვლებოდა. ისინი გვერდულად სხდებოდნენ, ორივე ფეხი უნაგირის ერთ მხარეს ჰქონდათ. ასე ჭებნება კი მაინც დამაინც მოსახერხებელი არ იყო და, როგორც ჩანს, ხერხემლის ტკივილსაც იწვევდა.

იზაბელა ერთხანს დარჩა ჰავაის კუნძულებზე და მოქმედ ვულკანზეც კი აძვრა. ჰავაის კუნძულების შესახებ საკუთარ წიგნში აქვს მოთხრობილი. შემდეგ ისევ უკან, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დაბრუნდა და კოლორადოს ეწვია. უშიშარმა მოგზაურმა კლდოვან მთებამდე 1300 კილომეტრი გაიარა ცხენით. დღისით თუ ღამით სამიველ ქარბუქსა და თოვლში იყინებოდა. წამწამებსა და ნარბეზე ლოლუებიც კი გაუჩნდა. აქ გაცივნი მთამსვლელი, ცალთვალა ყაჩაღი, ჯიმ ნაგენტი. სწორედ მასთან ერთად დალაშქრა კლდოვანი მთები. ჯიმს შეუყვარდა იზაბელა და ცოლობაც კი სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. ცოტა ხნის შემდეგ ცალთვალა ყაჩაღი გარდაიცვალა.

მალე იზაბელას და ენრიეტა გახდა ავად. მას იმ დროისთვის სამიში სენი, ტიფი, შეეყარა. ენრიეტას ძალიან ყურადღებიანი ექიმი, ჯონ ბიშოპი, მკურნალობდა. იზაბელას შეუყვარდა ექიმი და მალე იქონინეს



კოპენჰაგენი – გავშვების ქალაქი



წარმოიდგინე ნამდვილი ქალაქი, სადაც ყველაფერია, რაც ბავშვებს მოსწონთ. **კოპენჰაგენი** სწორედ ასეთია: ჩვეულებრივი ქალაქი, მაგრამ – საბავშვო. ის დანიის დედაქალაქია.

კოპენჰაგენში პატარა, ლამაზი, ფერადი სახლებია. ქუჩებში ჩვეულებრივ ტრანსპორტთან ერთად საბავშვო ავტობუსები და მატარებლები მოძრაობს. ბავშვების კაფეებში საგანგებოდ მათთვის არის შედგენილი მენიუ. მუზეუმებში ექსპონატები ისეთ სიმალღებზეა გამოფენილი, რომ პატარებმა კარგად შეძლონ მათი ნახვა. ქალაქში უამრავი ატრაქციონია და ყველგან არის ფასდაკლება ბავშვებისთვის. იქვე არის დასასვენებელი პარკები შადრევნებით, ხასხასა მოლითა და დაბურული ტყეებით, ზოოპარკი უამრავი ცხოველით და კიდევ ვინ ჩამოთვლის, რა აღარ.

ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს მსოფლიოში უძველესი გასართობი პარკი – **დირე-ჰავსბაკენი**, შემოკლებით – ბაკენი. ის დაბურული ტყეების ახლოსაა. პარკში 400-წლოვან ხეებს შორის 2000-მდე ირემი დანავარდობს. ამ ლამაზ ადგილას შეგიძლია გაისეირნო ან პიკნიკი მოაწყო.

ბაკენში უამრავი სხვადასხვა ატრაქციონია: „ამერიკული მთები“, ეშმაკის ბორბალი, დასაშვები კოშკი... თუ უფრო მშვიდი დასვენება გიყვარს, საამისოდაც ბევრი ადგილია. შეგიძლია მოლზე ჩამოჯდე, წაიხემსო, ან წიგნი წაიკითხო ან ძველებურ კაფეს მიაკითხო. გემრიელად დანაყრდები, მშვენიერი მომღერლები კი 130 წლის წინ დანერჩილ სიმღერებს შეგისრულებენ.

„ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზრახვების ქალაქი“

ბავშვებისთვის ეს კოპენჰაგენის სავიზიტო ბარათია. წარმოიდგინე, ერთ შენობაში, სულ რაღაც რამდენიმე საათში შეგიძლია იმოგზაურო შენი საყვარელი ზღაპრების გმირების სამყაროში. შეხვდე პატარა სირინოზს, გაერთო მახინჯ ჭუჭულთან ერთად და ყინულის ცივ დედოფალს შეხედო თვალებში!

„ცისფერი პლანეტა“

კოპენჰაგენში არის უზარმაზარი აკვარიუმი, რომელსაც სიდიდის გამო „ცისფერ პლანეტას“ უწოდებენ. ის ჩრდილოეთ ევროპის უდიდესი აკვარიუმი. „ცისფერი პლანეტა“ ისეა მოწყობილი, რომ დამთვალიერებლები წყლის ქვეშ გადაადგილდებიან.

ექსპონატი – მუზეუმში გამოსაფენი საგანი.

აკვარიუმის ყველაზე დიდ განყოფილებას „ოკეანე“ ჰქვია. იქ ოთხ მილიონ ლიტრ ზღვის წყალში ჩაქუჩა-ზვიგენებთან ერთად დაცურავენ სკატები, მურენები და სხვა უცნაური ფორმის ცხოველები. აქვე არის დიდი ჩანჩქერი. მასთან ძალიან ახლოს მისვლას არ გირჩევ. იქ 3000 პირანია და ანაკონდა დაცურავს!

პლანეტარიუმი

გინდა, ნახო ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, უყურო სამგანზომილებიან ფილმებს და გაცნო საინტერესო გამოფენას? შორს წასვლა არ მოგიწევს. შეგიძლია, **ტიხო ბრახეს პლანეტარიუმს** ესტუმრო.

პლანეტარიუმში გუმბათის ფორმის უზარმაზარი ეკრანია. მისი დახმარებით შეგიძლია „გაემგზავრო“ უსასრულო გალაქტიკაში, „დაბრუნდე“ დინოზავრების ხანაში ან ნახო, რა ხდება ზღვის ფსკერზე... როცა უყურებ, გგონია, რომ მართლა მოგზაურობ ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე ან დასეირნობ დინოზავრებს შორის. ამაში სპეციალური 3D სათვალე გეხმარება. აქვე არის მუზეუმი, სადაც ნებისმიერ დროს ნახავ გამოფენას კოსმოსური მოგზაურობების შესახებ.

კოპენჰაგენის ზოოპარკი

დედამინაზე დღეისათვის დაახლოებით 264 სახეობის ცხოველი ბინადრობს. კოპენჰაგენის ზოოპარკში თითქმის ყველა მათგანს შეხვდები. მათი საერთო რაოდენობა 3000-ს აჭარბებს. სპილოები, ჰიპოპოტამები, ლომები, მაიმუნები, პოლარული თუ მურა დათვები, გველები, ნიანგები, მაიმუნები, მარტორქა-ჩიტები, სხვადასხვა სახეობის ფრინველები, პეპლები... ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იქაური ბინადრებისა!

ზოოპარკში რამდენიმე სხვადასხვა განყოფილებაა: ტროპიკული ტყეები, არქტიკული სარტყელი, შინაური ცხოველების ფერმა... ყველგან შექმნილია ცხოველების შესაფერისი გარემო პირობები. რაც მთავარია, ეს პირობები ყველა სეზონზე ყველანაირ ამინდში უცვლელია.

სახალისო დავალება:

ქალაქის/სოფლის არქიტექტორი

წარმოიდგინე, რომ შენი ქალაქის (ან სოფლის) მთავარი არქიტექტორი ხარ. რას დაამატებდი შენს ქალაქს (ან სოფელს), რომ ბავშვებისთვის საინტერესო ადგილად გექცია ის?

შეადგინე ნახაზი. აღწერე დეტალურად და დახატე მომავლის ქალაქი (სოფელი). შეგიძლია, მაკეტიც დაამზადო. შემდეგ ეს დავალება შეინახე. ვინ იცის, იქნებ მომავალში შენი გეგმა მართლაც განახორციელო. წარმატებას გისურვებ!



კითხვის-დრო



ხილის სალათა ნაყინით

მომზადების წესი:

საჭირო ინგრედიენტები:

- ვაშლი – 2 ცალი
- ბანანი – 2 ცალი
- ფორთოხალი – 2 ცალი
- მარწყვი – 250 გრამი
- ხილის ლიქიორი – 50 გრამი
- ნაყინი – 500 გრამი (ვანილის ან შოკოლადის, სურვილის მიხედვით)
- მურაბის სიროფი – 100 გრამი
- შოკოლადის ფილა – 1 ცალი
- წვრილად დაჭრილი მოხალული ნიგოზი ან თხილი – 3-4 სუფრის კოვზი

აილე ორი საშუალო ზომის ვაშლი. გულმოდგინედ გარეცხე და გათალე. შემდეგ გამოაცალე თესლები და დაჭერი კუბიკებად.

გაფცქვენი ორი ბანანი და ისიც დაჭერი კუბიკებად. აილე ორი საშუალო ზომის ფორთოხალი. გარეცხე. შემოაცალე კანი და ასევე კუბიკებად დაჭერი.

მარწყვი გარეცხე. ფრთხილად მოაცილე ყუნწები და თითოეული შუაზე გაჭერი. სასურველია, მარწყვი მსხვილი იყოს. ასე უფრო ადვილად დაჭრი.

თუ გინდა, ზემოთ დასახელებული ნებისმიერი ხილი სხვით ჩაანაცვლე.

დაჭრილი ხილი მოათავსე ღრმა ჭურჭელში და ფრთხილად აურიე.

შემდეგ მოასხი 3-4 სუფრის კოვზი ხილის ლიქიორი და 1-2 საათით შედგი მაცივარში გასაცივებლად.

დაიმახსოვრე: ხილი საყინულეში არ შედგა, თორემ გაყინება და არომატს დაკარგავს!

ვიდრე ხილი გაცივდება, შოკოლადის ფილა დატეხე პატარა ზომის ნატეხებად და ჩაყარე ემალის ჯამში. შემდეგ ჯამი ნელ ცეცხლზე დადგი, რომ შოკოლადი გადნეს.

მაცივრიდან გამოიღე ხილი და გაანაწილე ულუფებად პატარა ზომის მინის ჯამებში.


თითოეულ ულუფას ზემოდან დაადე ერთი სუფრის კოვზი ნაყინი.

ნაყინის ზემოდან ზოგს მოასხი მურაბის წვენი. (უმჯობესია, მურაბა მოწითალო ფერის იყოს. ასე ხილის სალათა უფრო ლამაზი გამოგვივა). ზოგს კი მოასხი გამდნარი შოკოლადი.

სულ ბოლოს მოაყარე მოხალული და წვრილად დაჭრილი ნიგოზი ან თხილი.

ხილის სალათა მზადაა.

გემრიელად მიირთვი!



კითხვის-ღრო

